

ჟან-შარლ დე ბესი, „მოგზაურობა ყირიმში, კავკასიაში, საქართველოში, სომხეთში, მცირე აზიაში, კონსტანტინოპოლში 1828-29 წლებში“.

Jean-Charles de Besse. Voyage en Crimée au Cavcasse, en Géorgie, en Arménie, en Asie-Mineure, et à Constantinople, en 1829-1830. Pour servir à l'histoire de Hongrie, par Jean-Charles de Besse. Ouvrage orné de cinq planches lithographées. Paris, 1838

La ville n'est pas peuplée en proportion de son étendue; sa population actuelle est évaluée à environ quarante-cinq mille âmes: elle consiste en Russes, Grecs, Arméniens (334), Grusiniens ou Géorgiens et Persans. Plusieurs peuplades du Cavcasse, des marchands de la Grande-Boukharie, du Candahar, d'Erzeroum, de Tébris, etc., y ont leurs demeures temporaires pour débiter des marchandises de leurs pays et acheter celles qui sont propres au débit chez eux. Deux grands bazars, contenant plusieurs centaines de boutiques, fourmillent continuellement d'une foule d'acheteurs et de spectateurs, et on trouve dans ces bazars des ateliers de toute espèce qui sont, comme à Constantinople, séparés les uns des autres, selon la nature de leurs travaux. Par exemple, une allée entière est occupée par des bonnetiers qui sont très nombreux; une autre par des armuriers, des taillandiers, etc. Tous ces hommes travaillent, de sorte que ce spectacle d'activité est vraiment divertissant pour les étrangers et les officiers de la garnison et leurs familles, qui y trouvent une promenade des plus agréables de Tifiis. (335)

ქალაქი არ არის დასახლებული თავისი ფართობის პროპორციულად; მისი ამჟამინდელი მოსახლეობა დაახლოებით 45,000 სულია: ის შედგება რუსების, ბერძნების, სომხების, გრუზინების ანუ ქართველებისა და სპარსელებისაგან. კავკასიის ზოგიერთ ხალხებს, აგრეთვე ვაჭრებს დიდი ბუხარადან<sup>1</sup>, ყანდაჰარიდან, არზრუმიდან, თავრიზიდან და სხვა ქალაქებიდან აქ დროებითი რეზიდენციები აქვთ თავიანთი საქონლის გასაყიდად და თავიანთ ქვეყნებში გამოსადეგი საქონლის შესასყიდად. ორ დიდ ბაზარში რამდენიმე ასეული დუქანია, სადაც განუწყვეტლივ ირევა მყიდველებისა და მაყურებლების ბრბო; ამ ბაზრებში არის ყოველგვარი სახელოსნო, რომლებიც, ისევე როგორც კონსტანტინოპოლში, ერთმანეთისაგან ხელობის მიხედვით არის გამოყოფილი. მაგალითად, ერთი რიგი მთლიანად მრავალრიცხოვან ფეიქრებს უჭირავთ, სხვა რიგები – მესაჭურველებს, მჭრელი ინსტრუმენტების ოსტატებსა და ა.შ. ეს ხალხი ისე მუშაობს, რომ მათი საქმიანობის ყურება ჭეშმარიტად გასართობი სანახაობაა უცხოელების, გარნიზონის ოფიცრებისა და მათი ოჯახებისთვის; მათთვის სწორედ იქ არის ტვილისის ყველაზე სასიამოვნო სასეირნო ადგილი.

Comme j'allais bientôt entrer en Mingrélie et la quitter sans m'arreter long-temps, je pris dans cette ville toutes les informations que je pus recueillir sur les Tchcrkesses, au sujet desquels j'avais préparé des notes l'année passée pendant mon séjour dans la partie septentrionale du Cavcasc et en Crimée. Mais, avant d'en donner une relation exacte, je crois faire plaisir aux bons Wurtembergeois en leur communiquant ici une courte description des colonies occupées par leurs compatriotes en Géorgie, et

<sup>1</sup> დიდი ბუხარა – ისლამის შვიდი წმინდა ქალაქიდან ერთ-ერთი, საუკუნეების განმავლობაში იყო ვაჭრობისა და ისლამის ცენტრი; მუსლიმებმა მას მიანიჭეს წოდება ბუხარო-ო-შარიფი, ანუ „დიდი ბუხარა“.

dont aucun (375) voyageur n'a donné jusqu'à présent des détails satisfaisant. Ces colonies, au nombre de huit, sont les suivantes :

რადგან მალე უნდა შევსულიყავი სამეგრელოში და იქაც არ უნდა დავყოვნებულიყავი, ამ ქალაქში მთელი შესაძლებელი ინფორმაცია შევაგროვე ჩერქეზებზე, რომელთა შესახებაც ჩანაწერები შარშან კავკასიის სამხრეთში და ყირიმში მოგზაურობის დროს მოვამზადე. მაგრამ სანამ ამ საკითხზე სრულ ანგარიშს წარმოვადგენ, ვფიქრობ, ვასიამოვნო კეთილ ვიურტემბერგელებს და მოკლედ აღწერო საქართველოში მათი თანამემამულეების კოლონიები, რომელთა შესახებ ამგვარი დამაკმაყოფილებელი დეტალები დღემდე არც ერთ მოგზაურს არ მოუცია. აი ეს რვა კოლონია:

1° *Neù-Tiflis*, à deux werstes de cette capitale. Ce village, proprement et régulièrement bâti, est composé de trente cinq familles qui exercent divers métiers et fournissent à la ville, du lait, du beurre, du fromage, de la bière, du vin et des fruits. Ces colons n'ont pas de champs labourables, mais, par leur industrie, ils gagnent assez pour vivre dans une aisance médiocre et jouir en paix du fruit de leurs travaux. Ils entretiennent un pasteur ou ministre, et leur église, au moment de mon arrivée à Tiflis, a reçu de la munificence de l'Empereur Nicolas un secours de deux mille roubles. (376)

1. ნოი-ტფილისი<sup>2</sup> დედაქალაქიდან ორ ვერსზე [2,12 კმ] მდებარეობს. ეს სოფელი, მოხერხებულად და აკურატულადაა აშენებული; იქ 35 ოჯახი ცხოვრობს. ისინი სხვადასხვა ხელობით არიან დაკავებულები და ქალაქს რძით, კარაქით, ყველით, ლუდით, ღვინითა და ხილით ამარაგებენ. ამ კოლონიას არ აქვს სახნავ-სათესი მიწები, მაგრამ თავიანთი შრომით საკმაოდ გამოიმუშავენ იმდენს, რომ საშუალო დონეზე იცხოვრონ და მშვიდად დაკმაყოფილდნენ თავიანთი შრომის ნაყოფით; ისინი თავიანთი ხარჯით ინახავენ პასტორს და ეკლესიას. ტფილისში ჩემი ჩასვლის დროს იმპერატორმა ნიკოლოზმა, მათ დასახმარებლად გულუხვად გამოყო 2,000 რუბლი.

2° *Alexander-Dorf*. Ce village est situé à trois werstes de la ville, sur la rive droite du Kour; il contient trente deux familles qui s'occupent avec soin à élever du bétail, en quoi ils réussissent à merveille, et fournissent aux boucheries de la ville des bœufs et des veaux; leurs femmes préparent la toile pour leurs familles, et élèvent une grande quantité de volailles et surtout de dindons. (376)

2. ალექსანდერდორფი<sup>3</sup>. ეს სოფელი ტფილისიდან სამ ვერსზე [3,18 კმ], მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს; იქ 32 ოჯახი ცხოვრობს. ისინი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას მისდევენ, რაშიც წარმატებულები არიან და ქალაქის ყასბებს ხარებითა და ხბოებით ამარაგებენ; მათი ცოლები ტილოს ქსოვენ თავიანთი ოჯახების საჭიროებისთვის და დიდი რაოდენობით ზრდიან შინაურ ფრინველს, განსაკუთრებით ინდაურებს.

3° *Marienfeld*, à quatre werstes de Tiflis. Cette colonie est également composée de trente-deux familles qui font valoir les terres fertiles avec avantage; ils cultivent la vigne avec beaucoup de succès. Ce village

<sup>2</sup> ახალი-თბილისი (Neù-Tiflis) დაარსდა ის გარეუბანში, დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირზე და კუკიაზე.

<sup>3</sup> ალექსანდერდორფი – იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელობის კოლონია დაარსდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი დიდუბის ადგილზე.

est remarquable par la propreté et la commodité des maisons et les habillemens soignés des femmes. (376)

3. მარიენფელდი<sup>4</sup> ტფილისიდან ოთხ ვერსზე [4,24 კმ] მდებარეობს. ეს კოლონიაც 32 ოჯახისგან შედგება. ისინი კარგად იყენებენ ნაყოფიერ მიწას; დიდი წარმატებით უვლიან ვაზს. ეს სოფელი გამოირჩევა სახლების მოხერხებულობითა და სისუფთავით, აგრეთვე ქალების კოპწია სამოსით.

4° A une demi-werste de cette colonie est celle de *Petersdorf*, qui ne compte que seize familles et n'existe que depuis huit ans, ces colons ayant quitté leur première demeure à cause de la stérilité du sol. (376)

4. ამ კოლონიიდან ერთ-ნახევარ ვერსზე [1,59 კმ] მდებარეობს კოლონია პეტერსდორფი, სადაც მხოლოდ 16 ოჯახი ცხოვრობს. ის რვა წლის წინ დაარსდა, რადგან თავიანთი პირველი საცხოვრებელი კოლონისტებმა მწირი მიწის გამო მიატოვეს<sup>5</sup>.

5° *Elisabethal*. Ce village compte soixante-quatre familles et il est le plus florissant parmi les autres. On y cultive les schamps (376) avec un soin remarquable, comme en Belgique; on y élève un grand nombre de bestiaux, et les colons tirent beaucoup de profit de leurs vignes qu'ils cultivent avec soin; aussi bien le vin d'Elisabethal est recherché et bien vendu à Tiflis. (377)

5. ელიზაბეტტალში<sup>6</sup> 64 ოჯახი ცხოვრობს. სხვებთან შედარებით, ეს სოფელი ყველაზე უფრო აყვავებულია. ისე როგორც ბელგიაში, მოსახლეობა აქაც განსაკუთრებული მზრუნველობით ამუშავებს მინდვრებს; ისინი დიდი რაოდენობის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ზრდიან და დიდ სარგებელს იღებენ თავიანთი ვენახებიდან, რომელსაც მზრუნველობით უვლიან. ელიზაბეტტალის ღვინოებზე ტფილისში დიდი მოთხოვნილებაა და კარგად იყიდება.

6° *Catharinfeld*, dont il a été déjà fait mention plus haut. Cette colonie était composée de quatre-vingt-douze familles avant la guerre contre les Perses; aujourd'hui elle est réduite à soixante-dix familles: les colons, ayant été exposés aux ravages exercés par les Perses, ont éprouvé une perte considérable en hommes et en biens. Mais leur industrie et leur application au travail, à l'agriculture et à la plantation des vignes, ont déjà réparé leurs pertes, qui ne paraissent plus en face de la prospérité dont ils jouissent

---

<sup>4</sup> მარიენფელდი – იმპერატორ პავლე I-ის მეუღლის, ვიურტემბერგელი პრინცესას, მარია ფედოროვნას, სახელობის კოლონია დაარსდა სართიჭალის მახლობლად.

<sup>5</sup> პეტერსდორფი – პეტრე I-ის სახელობის კოლონია დაარსდა სართიჭალის მახლობლად.

<sup>6</sup> ელიზაბეტტალი – იმპერატორ ალექსანდრე I-ის მეუღლის, იმპერატრიცა ელიზაბეტა ალექსეევნას სახელობის კოლონია 1819 წელს დაარსდა ასურეთში.

რუსეთ-ირანის მეორე (1826-1828) ომის დროს, 1826 წელს, სპარსელებმა განჯა (ელიზაბეტპოლი) დაარბიეს და მის მახლობლად დაარსებულ კოლონიაში მცხოვრები გერმანელები ქურთებს მიჰყიდეს. ამ ამბის გაგებისას ფათჰ-ალი შაჰს საიდუმლოდ უკითხავს, იყვნენ თუ არა გერმანელი ქალები ლამაზები; უარყოფითი პასუხის მიღებაზე შაჰს უთქვამს: ქურთებს ჰყავდეთ! (Champollion-Figeac, Histoire de la Perse (Asie Orientale), bibliothécaire au palais de Fontainebleau, Paris, Arnauld de Vresse, Editeur, 1860, 440-441). 1826 წელს ქურთების მიერ ტყვედ გაყვანილი გერმანელები მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მათი გამოსასყიდი თანხა გერმანიასა და შვეიცარიაში შეგროვდა. ირანთან თურქმანჩაის (10(22).02.1828) ხელშეკრულების დადების დროს რუსეთის მთავრობას მათზე საერთოდ არ უფიქრია (Ivan Golovin, The Caucasus by Ivan Golovin, London: Trübner & Co., 1854, 92).

actuellement. Ces colons élèvent de bons chevaux et les font valoir dans le transport des marchandises et des produits de la terre. (378)

6. კატარინენფელდში<sup>7</sup> სპარსელებთან ომამდე<sup>8</sup> 92 ოჯახი ცხოვრობდა; დღეს იქ 70 ოჯახი ცხოვრობს. სპარსელების შემოსევამ ისინი ძლიერ დააზარალა და მათ მნიშვნელოვანი დანაკარგი ჰქონდათ როგორც ადამიანების, ისე ქონების თვალსაზრისით. მაგრამ მათმა შრომისმოყვარეობამ სოფლის მეურნეობისა და ვენახის მიმართ, უკვე აანაზღაურა მათი დანაკლისი, რაც მათ ამჟამინდელ აყვავებულ მდგომარეობას აღარ ემუქრება. ეს კოლონისტები ზრდიან კარგ ცხენებს, რომლებითაც თავიანთი ნაწარმი და სოფლის მეურნეობის პროდუქტები დააქვთ.

7° *Armenfeld*. Ce village contenait autrefois trente-cinq familles; mais elles durent quitter leur établissement à cause de la stérilité du terrain qui au commencement leur avait été désigné. Aujourd'hui ces familles demeurent sur les limites de Catharinfeld. (377)

7. სოფელ არმენფელდში<sup>9</sup> ოდესღაც 35 ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ისინი იძულებულები იყვნენ, მიეტოვებინათ მათთვის გამოყოფილი დასახლება მწირი მიწის გამო. დღეს ეს ოჯახები კატარინენფელდის საზღვრებში ცხოვრობენ.

8° *Helenendorf* compte cent vingt-sept familles. Ce village est à sept werstes de la ville d'Elisabethpol. Les habitants de cette colonie se trouvent dans un état de prospérité. Ils ont du blé en abondance, ils cultivent la vigne et élèvent un grand nombre de bestiaux; ils brûlent aussi de l'eau-de-vie qu'ils vendent avec beaucoup de profit. (377)

8. ელენენდორფში<sup>10</sup> 127 ოჯახი ცხოვრობს. ეს სოფელი 7 ვერსზე [7,42 კმ] მდებარეობს ქალაქ ელიზაბეტპოლიდან. ეს კოლონია ყვავის, მათ უხვად აქვთ ხორბალი, უვლიან ვენახს, ისინი ზრდიან დიდი რაოდენობით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს და ხდიან არაყს, რომელსაც დიდი მოგებით ყიდიან.

Si je fais mention ici des colons wurtembergeois, c'est pour faire plaisir à leurs compatriotes en Souabe, qui, éloignés de plus de neuf cents lieues, ne seront pas fâchés d'avoir des nouvelles positives sur la position de leurs (377) parents et amis. Ces détails basés sur la vérité sont, il me semble, de nature à engager les Wurtembergeois à venir dans cet heureux climat, au lieu de traverser l'Atlantique, souvent avec danger, pour se fixer sur une terre toujours en proie à l'épidémie qui y est endémique. (378)

ვიურტემბერგელთა კოლონიებს იმიტომ ვახსენებ, რომ ვასიამოვნო მათ შვებიელ თანამემამულეებს, რომლებიც მათგან 900 ლიეზე [4050 კმ] მეტი მანძლით არიან

<sup>7</sup> კატარინენფელდი – ეკატერინა პავლოვნას, ალექსანდრე I-ის დის, ვიურტემბერგის დედოფლის სახელობის კოლონიის ადგილზე დღეს ქალაქი ბოლნისია.

<sup>8</sup> იგულისხმება რუსეთ-ირანის 1826-1818 წლების ომი.

<sup>9</sup> შარლ ბესი უზუსტობას უშვებს, რადგან მის მიერ არმენფელდად დასახელებული კოლონია იყო ანენფელდი – ალექსანდრე I-ის დის, ნიდერლანდების დედოფლის, ანა პავლოვნას, სახელობის კოლონია, რომელიც 1818 წელს ნაკლებად ნაყოფიერ მხარეში, შამქორში, დააარსეს.

<sup>10</sup> ელენენდორფი – ალექსანდრე I-ის ძმის, დიდი მთავრის, მიხეილის მეუღლის – ვიურტემბერგელი პრინცესას, ელენა პავლოვნას, სახელობის კოლონია ხანლარში დაარსდა.

დაცილებულები და არ ეწყინებათ თავიანთი ნათესავებისა და მეგობრების შესახებ პოზიტიური ამბების გაგება. ჩემი აზრით, სიმართლეზე დაფუძნებული ეს მონაცემები ვიურტემბერგელებს ამ ბედნიერ ჰავაში ჩამოსვლისთვის წააქეზებს, ნაცვლად ატლანტიკის ხშირად საშიში გადაცურვისა იმ მიწაზე დასამკვიდრებლად, რომელიც ჯერ კიდევ ეპიდემიის მსხვერპლია, რაც იქ ენდემურია.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)